დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

თბილისი

2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი : ეკა

გვარი: ლეკაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზესის ადმინისტრირება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413, მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	180
9	განხორციელების ადგილი[5]	ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა, თბილისი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 04.02.2025, №292860
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	04.02.2025

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	04.02.2026-მდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	04.02.2032

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		✓		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა		✓		
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		✓		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები სანდოობის და შეფასების თვალსაზრისით, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების და საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იმისათვის, რომ მოხდეს შესაბამისი ხარისხის მისაღებად საჭირო მინიმალური კომპეტენციების დაფარვა. (1.2)
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები სტრუქტურის ოპტიმიზაციის და შინაარსის გამდიდრების თვალსაზრისით. (1.4)
3. რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებამ საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი შესაბამისობა სასწავლო კურსების შინაარსთან და სირთულესთან. (1.5)
4. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების შეფასების მეთოდოლოგია. (1.5)
5. რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა მხარე (პროფესორები, ხელმძღვანელები, მაგისტრანტები სტუდენტი/ კურსდამთავრებული) კარგად იცნობდეს სამეცნიერო კვლევის კომპონენტის შეფასების პროცედურასა და კრიტერიუმებს, რათა დაზუსტდეს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული ასპექტის შეფასებაზე ხელმძღვანელი, რეცენზენტი ან კომისიის წევრები. (3.1)
6. რეკომენდებულია, სანგუ - მ უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეაფასონ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის განხორციელება და მათი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობა. (3.2)
7. რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. (5.1)
8. რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - იმოქმედე ციკლში საფუძვლიანად და პერიოდულად ხორციელდებოდეს შემოწმების და მოქმედების კომპონენტები. (5.1)
9. რეკომენდებულია, შემუშავდეს დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის და შეფასების შიდა ხარისხის მექანიზმები. (5.1)
10. რეკომენდებულია, სანგუ - მ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის განხორციელების და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. (5.3)
11. რეკომენდებულია, სანგუ - მ შეიმუშაოს მკაფიო და გამჭვირვალე გეგმა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმართვისთვის, როდესაც ისინი გადავლენ 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან 180 კრედიტიან პროგრამებზე. (5.3)

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

12. რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების მიზნით ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, პერიოდული შეფასებების და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. (5.3)
13. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები სწავლების და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით სწავლის შედეგების გაზომვის და მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით (1.3)
14. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების შემცირების და სპეციალობის სავალდებულო კურსების კრედიტების გაზრდის თვალსაზრისით (1.4).
15. რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შინაარსს დაემატოს შემდეგი საკითხები / თემები / კურსები: სამეწარმეო საქმიანობა და ინოვაციების მენეჯმენტი; ოპერაციების და ხარისხის მენეჯმენტი; ლოგისტიკა, მიწოდების ჯაჭვის მართვა, პროექტების მართვა; ცვლილებების მენეჯმენტი; ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა (1.4).
16. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული სავალდებულო კურსის როლი და ინტენსივობა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და გასაზომად. (1.5)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელშიც შედიოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი და უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფმა შეადგინა სამოქმედო გეგმა რეკომენდაციების შესრულების დასაგეგმად, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისიწინების საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მუშაობა მიდინარეობდა როგორც პირისპირ, ასევე დისტაციურ ფორმატში. სამუშაო ჯგუფის მიერ გატარდა ღონისძიებების ნაწილი რეკომენდაციების შესასრულებლად, ნაწილი კი დაიგეგმა სამომავლოდ.

ანგარიში წარმოდგენილია ვადების დაცვით.

იქიდან გამომდინარე, რომ რეკომენდაციები გაიცა კლასტერული აკრედიტაციის პროცესში, ზოგიერთი რეკომენდაცია მოიცავს საჯარო მმართველობის და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საკითხებს. ინსტიტუციამ, რიგ შემთხვევაში, ინფორმაცია წარმოადგინა

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ამ პროგრამების შესახებაც, თუმცა ექსპერტული შეფასებისას მათი გათვალისწინება არ მოხდა და ორიენტაცია აღებულ იქნა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე.

ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში ვერ იკითხება, დამტკიცდა თუ არა აღნიშული ცვლილებები მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული წესისამებრ. უნივერსიტეტმა უნდა ასახოს ცვლილებების დამტკიცების შესახებ ინფორმაცია პროგრამის აღწერილობაში.

შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ შესრულდა ყველა რეკომენდაცია, გარდა XII და XVI რეკომენდაციებისა, რომლებიც მეტწილად შესრულდა.

რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, რომ გადაიხედოს და განახლდეს პრაქტიკულ სწავლებასთან დაკავშირებული მიზნები და მიეთითოს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების კონკურენტული უპირატესობები (1.1).
2. სასურველია, შეფასების პროცესის გამჭვირვალობის და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ყოვლისმომცველი ჩარჩო. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და ზუსტ გაზომვას, რაც უზრუნველყოფს ორივე პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას. (1.3)
3. სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამებში გაფართოვდეს არჩევითი საგნები, იმისათვის, რომ სტუდენტებს მიეწოდოთ უფრო სპეციალიზებული ცოდნა და უნარები, რომლებიც მორგებულია ინდუსტრიის / სექტორის მზარდ საჭიროებებზე. (1.4)
4. სასურველია, გადაიხედოს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების კურსები, შინაარსის / თემების და ლიტერატურის განახლების თვალსაზრისით, ინდუსტრიის და სასწავლო საგნების სფეროების თანამედროვე ტენდენციების და საკითხების შესაბამისად. (1.5)
5. სასურველია, გაფართოვდეს პარტნიორობა რეალურ და საბანკო სექტორთან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დონეზე სტუდენტებისთვის სტაჟირების შეთავაზების და მოთხოვნის გამრავალფეროვნების მიზნით. (2.2)
6. სასურველია, ლექტორებმა ეფექტურად გამოიყენონ და განახორციელონ სწავლების სხვადასხვა სტრატეგია, სწავლის მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები, ხოლო დაწესებულება აღნიშნული მიზნის მხარდასაჭერად ჩაერთოს შესაბამის აქტივობებში. (2.3)
7. სასურველია, სილაბუსებში უფრო დეტალურად აღიწეროს გამოყენებული სწავლების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები ან რუბრიკები. (2.3)
8. სასურველია, სანგუ - მ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკის ყოვლისმომცველი დოკუმენტი. (5.1)
9. სასურველია, სანგუ - მ გააძლიეროს თავისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამატებითი ადამიანური რესურსებით დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე ციკლის დროულად დასასრულებლად. (5.1)

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

10. სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასების პროცესი იყოს უფრო სისტემური და რეგულარული და პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყვნენ მის დაგეგმვაში. (5.2)
11. სასურველია, სანგუ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება მოიცავდეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის კრიტერიუმებს. (5.3)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რჩევების გათვალისწინების შესახებ ინსტიტუციას ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები სანდოობის და შეფასების თვალსაზრისით, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების და საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იმისათვის, რომ მოხდეს შესაბამისი ხარისხის მისაღებად საჭირო მინიმალური კომპეტენციების დაფარვა.
შეფასება	შესაფასებლად წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შედარდა ბიზნესის ადმინისტრირების

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან და დადასტურდა, რომ პროგრამის 10 შედეგი თითქმის სრულად ემთხვევა დარგობრივი დოკუმენტით განსაზღვრულ შედეგებს. შესაბამისად, კითხვის ნიშნები სწავლის შედეგებს სანდოობასთან და შეფასებასთან დაკავშირებით არ არსებობს. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[15]	რეკომენდებულია, გადაიხედოს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები სტრუქტურის ოპტიმიზაციის და შინაარსის გამდიდრების თვალსაზრისით.
შეფასება	რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში შევიდა არსებითი ცვლილებები როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად. საწყის ეტაპზე გაუქმდა არჩევითი მოდულების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სისტემა, ხოლო ამ მოდულებში არსებული ყველა სასწავლო კურსი (მაგ., „ორგანიზაციული ქცევა“, „ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მართვა“, „ოპერაციების მენეჯმენტი“, „პროექტების მართვა“, „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი“, „საბანკო საქმე“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საჯარო ფინანსები და გადასახადები“, „კორპორაციების ფინანსები“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „მარკეტინგული კვლევები“, „ციფრული მარკეტინგი“) ინტეგრირდა სპეციალობის სავალდებულო კომპონენტში. ამასთანავე, არჩევითი კურსი „ლიდერობა“ გადატანილ იქნა სავალდებულო ბლოკში. აღნიშნულმა ცვლილებებმა განაპირობა პროგრამის საკრედიტო სტრუქტურის ოპტიმიზაცია: სავალდებულო სპეციალობის კურსების მოცულობა

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გაიზარდა 95-დან 125 კრედიტამდე, რაც ასახავს დარგობრივი კომპონენტის გაძლიერებას. პარალელურად, სტრუქტურული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით, თავისუფალი კრედიტების რაოდენობა შემცირდა 40-დან 10 კრედიტამდე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის დარგობრივ სპეციალიზაციაზე ორიენტაციის გაძლიერებას და სასწავლო პროცესის უფრო თანმიმდევრულ ორგანიზებას. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია III[16]	რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებამ საფუძვლიანად გადახედოს კრედიტების განაწილებას და საკონტაქტო საათებს, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი შესაბამისობა სასწავლო კურსების შინაარსთან და სირთულესთან.
შეფასება	ანგარიშიდან ირკვევა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში არსებითად შეიცვალა კრედიტებისა და საკონტაქტო საათების რაოდენობა რიგ სასწავლო კურსებში. აღნიშნული ცვლილებები შეეხო შემდეგ დისციპლინებს: „ბიზნესის სამართალი“, „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“, „პრაქტიკა“, „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი“, „საბანკო საქმე“, „საჯარო ფინანსები და გადასახადები“, „ორგანიზაციული ქცევა“, „რისკების მენეჯმენტი“, „ციფრული მარკეტინგი“, „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“, „ფინანსური ბაზრები“, „საზოგადოებასთან ურთიერთობა“, „მიკროეკონომიკა“, „მაკროეკონომიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“, „ლიდერობა“, „სადაზღვევო საქმე“, „ბრენდინგი“, „Excel ბიზნესში“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“, „საერთაშორისო ეკონომიკა“, „ბიზნეს ფსიქოლოგია“, „ელექტრონული კომერცია და

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ელექტრონული ბიზნესი“, „საერთაშორისო ბიზნესი“, „ინოვაციური ეკონომიკა“, „შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში“, „სასტუმროსა და რესტორნის მენეჯმენტი“. პროგრამის სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვს 3, 4, 5 და 6 ECTS კრედიტი. განსხვავებულია საკონტაქტო საათების რაოდენობა, მათ შორის სალექციო და სასემინარო/პრაქტიკული მეცადინეობის საათების პროპორცია და შესაბამისობაშია სასწავლო კურსების შესწავლის სირთულესთან. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IV[17]	რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სასწავლო კურსების შეფასების მეთოდოლოგია.
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ინსტიტუციამ სასწავლო კურსების სილაბუსები განაახლა, რადგან სილაბუსებში შეფასების მეთოდები მეტწილად ერთნაირი იყო. მოხდა საგნის სპეციფიკის გათვალისწინება და მეთოდების გამრავალფეროვნება. განახლებულ სილაბუსებში ასახულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები, როგორიცაა: წერითი დავალებები და წერითი გამოკითხვები, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული სამუშაოები, ტესტები და ქვიზები, ღია ტიპის კითხვები, პრეზენტაციები, რეფერატები, კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული დავალებების შესრულება, შემთხვევის ანალიზი და სხვა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ინიციატივით დაიწყო თანამშრომლობა ერაზმუს პლუსის პროექტთან „PROFFORMANCE+“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	უნარების განვითარება შეფასების სისტემის საკითხზე, ასევე მათი კვალიფიკაციის განვითარება მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა დიგიტალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, ინკლუზია და მდგრადობა. ამასთან, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეცა შესაძლებლობა ჩართულიყო ვებინარების სერიაში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და მრავალფეროვანი მეთოდების გაცნობა და დანერგვა. სილაბუსების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შეფასების მეთოდები განსხვავებულია და შესაბამისობაშია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან. სილაბუსებში დეტალურად არის გაწერილი ქულების შინაარსობრივი მხარე, რაც გამჭვირვალეს ხდის შეფასების სისტემას. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია V[18]	რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა მხარე (პროფესორები, ხელმძღვანელები, მაგისტრანტები სტუდენტი/ კურსდამთავრებული) კარგად იცნობდეს სამეცნიერო კვლევის კომპონენტის შეფასების პროცედურასა და კრიტერიუმებს, რათა დაზუსტდეს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული ასპექტის შეფასებაზე ხელმძღვანელი, რეცენზენტი ან კომისიის წევრები.
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაცია გაცემულია სამაგისტრო პროგრამებზე, რადგან საკითხი კვლევითი კომპონენტის შეფასებას ეხება. თუმცა უნივერსიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურის და შეფასების კომპონენტების შესახებ, რომელიც რეგულირდება დოკუმენტით ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია“. აღნიშნული დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	პირისთვის. ამასთან, პროგრამით განსაზღვრულია აკადემიური წერის სასწავლო კურსი, რაც სტუდენტებს საბაკალავრო ნაშრომის მიზნის - სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა - შესრულებაში შეუწყობს ხელს. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა; • დანართი 1.2 - საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია VI[19]	რეკომენდებულია, სანგუ - მ უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეაფასონ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის განხორციელება და მათი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობა.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხება შესაფასებლად წარმოდგენილ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას.
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VII[20]	რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
შეფასება	თვითშეფასების ანგარიშს თან ახლავს დოკუმენტი ,,სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ანგარიში“, სადაც ვკითხულობთ, რომ ,, საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყოველწლიურად ხორციელდებოდა როგორც სტუდენტთა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო), ისე საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვები. ასევე, ეწყობოდა ფოკუს ჯგუფები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენებოდა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამებში, ეტაპობრივად ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის ცვლილებები“. ინსტიტუციის ინფორმაციით, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას რექტორის ბრძანებით იქმნება დარგობრივი საბჭო და სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად შედიან კონკრეტული დაინტერესებული პირები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). აღნიშნული მიდგომა საუნივერსიტეტო დონეზე გააქტიურდა და სხვა მიმართულებების პროგრამების შემუშავებისასაც გამახვილდა ყურადღება სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობაზე პროგრამის შემუშავებისა და გავითარების პროცესში. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.7 - სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VIII[21]	რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმე - განახორციელე შეამოწმე - იმოქმედე ციკლში საფუძვლიანად და პერიოდულად

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ხორციელდებოდეს შემოწმების და მოქმედების კომპონენტები.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების თვლასაზრისით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ,,სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში“, რომელიც ასახავს,.დაგეგმე-განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის პრაქტიკული იმპლემენტაციის თემებს. კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები, ანალიზი და მათი შემდგომი გამოყენება ხდება საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარების შემდგომ გაირკვა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობა, 77% არ ფლობს ინფორმაციას უნივერსიტეტის ბაზებთან დაკავშირებით (გვ.12), თუმცა გამოკითხულ სტუდენტთა 99% გამოხატავს კმაყოფილებას სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიმართ (გვ.17). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო საფეხურების მიხედვით დამუშავდა. აღნიშნული დოკუმენტი, ასევე, მოიცავს კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მიერ მომზადებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასაც, რომელიც განხილულ და შეფასებულ იქნა ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში. სტუდენტების თვალსაზრისით, პროგრამა თანამედროვე რეალობასთან არის მორგებული. ამასთან, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართული იყო პროგრამის მომზადების პროცესში. მათი მოსაზრება იყო გარკვეული სასწავლო კურსების დამატება ახალ პროგრამის არჩევით ნაწილში. პერსონალმა იმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაზე. პროგრამაში ჩართული პერსონალი დადებითად აფასებს წარმოდგენილ პროგრამას. უნივერსიტეტის დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, მისი კურსდამთავრებულების პოტენციურ დამსაქმებლებს მიაწოდა განხილვისა და შეფასების მიზნით. ფოკუს ჯგუფი ორ ძირითად მიზანს ისახავდა: 1. დასაქმების

	ბაზრის ზოგადი ტენდენციების მიმოხილვას; 2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შეფასებას. დამსაქმებლებმა განიხილეს და დადებითად შეაფასეს პროგრამის სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები. მონაწილეებმა დადებითი შეფასება მისცეს პრაქტიკის კომპონენტს. ამასთან, უნივერსიტეტის ინფორმაციით, ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური გაძლიერდა დამატებითი ადამიანური მტკიცებულებ(ები)ა რესურსით - სამსახურს დაემატა თანამშრომელი უფროსი კოორდინატორის პოზიციაზე. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.7 - სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში; • დანართი 1.8 - უფროსი კოორდინატორის CV.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია IX[22]	რეკომენდებულია, შემუშავდეს დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგის და შეფასების შიდა ხარისხის მექანიზმები.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ინსტიტუციაში შემუშავებულ იქნა ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მექანიზმის შემუშავების მიზანია: დისტანციური და ელექტრონული სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფა. დოკუმენტით განსაზღვრულია მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების მექანიზმები და დამატებითი აქტივობები, რომელიც მოიცავს თითოეული კურსისთვის ციფრული პორტფოლიოს შექმნას, გაფართოებული მონაცემთა ანალიზის

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გამოყენებას,ელექტრონული/დისტანციური სწავლების ეფექტიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადებას, რეგულარული ტრენინგების ჩატარებას ლექტორებისთვის ონლაინ მეთოდების, ტექნოლოგიების გამოყენებაზე და მონიტორინგის ავტომატიზაციის დანერგვას. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.9 - ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია X[23]	რეკომენდებულია, სანგუ - მ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის განხორციელების და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხება შესაფასებლად წარმოდგენილ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას.
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია XI[24]	რეკომენდებულია, სანგუ - მ შეიმუშაოს მკაფიო და გამჭვირვალე გეგმა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების წარმართვისთვის, როდესაც ისინი გადავლენ 240 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან 180 კრედიტიან პროგრამებზე.
შეფასება	უნივერსიტეტში შემუშავდა ,,სტუდენტის ინდივიდუალრი სასწავლო გეგმა - 240 ECTS კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო

[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროგრამიდან 180 ECTS კრედიტიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას“. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესებსა და პროცედურებს იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტი 240 ECTS კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან გადადის 180 ECTS კრედიტიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რათა აღნიშნული პროცესი განხორციელდეს საუნივერსიტეტო სტანდარტების დაცვით. დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები და პირობები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, კრედიტების აღიარება, წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, შედეგების დამტკიცება. აღსანიშნავია, რომ ზოგადად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას არეგულირებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, თუმცა რეკომენდაციის შესრულების მიზნიდან გამომდინარე, შემუშავდა აღნიშნული კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც 240 ECTS კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან 180 ECTS კრედიტიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას იქნება გამოყენებული. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.10 - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • დანართი 1.11 - სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია XII[25]	რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების მიზნით ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, პერიოდული

[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	შეფასებების და სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით.
შეფასება	ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს პროგრამების შეფასების ერთიან სისტემურ ჩარჩოს. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია როგორც სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ისე შესაბამისი მექანიზმები. სახელმძღვანელო უზრუნველყოფს სწავლის შედეგების დაგეგმვის, გაზომვისა და შეფასების პროცესის თანმიმდევრულ და სისტემურ განხორციელებას, რაც საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კურიკულუმის რუკისა და პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკის შედგენის პრინციპების აღწერას. დოკუმენტში დეტალურადაა წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. ასევე განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულების დადგენის ძირითადი პრინციპები. მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგის მექანიზმებზე, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის დინამიკის სისტემურ ანალიზს ინდივიდუალური პროგრამების დონეზე. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება პროგრამების ეფექტიანობის შესაფასებლად და მათი გაუმჯობესებისკენ მიმართული გადაწყვეტილებების მისაღებად. დოკუმენტი შემუშავებულია ისე, რომ სისტემურად შეფასდეს პროგრამის შედეგების მიღწევა, თუმცა **მასში არ არის მოცემული სამიზნე ნიშნულიდან რამდენი პროცენტით გადახრის შემთხვევაში გადაიხედება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზები.** ამასთან, დოკუმენტში, მე-6 გვერდზე არის ჩანაწერი ,,კურიკულუმის რუკა შეიძლება გამოისახოს ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით“, რომელშიც, მიუხედავად იმისა, რომ არის მოდელის ფორმატი, დაშვებულია

	შეცდომები. კერძოდ, მე-3 სწავლის შედეგი იწყება განმტკიცების დონიდან, ხოლო მეოთხე - გაღრმავების დონიდან. მიუხედავად იმისა, რომ არის ჩანაწერი ,, მნიშვნელოვანია, რომ ყველა სწავლის შედეგი განვითარდეს სამივე დონეზე", აღნიშნული რუკა ამ პრინციპს არ მიჰყვება. მიზანშეწონილია, წარმოდგენილი კურიკულუმის რუკის ნიმუში გადამუშავდეს და არ იყოს შეცდომაში შემყვანი. ამასთან, ანგარიშს ახლავს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში, რომელიც სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების მეთოდის პრაქტიკულ იმპლიმენტაციას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აღწერილობაში არის სამიზნე ნიშნულების შესახებ ზოგადი ინფორმაცია. ამასთან, პირდაპირი მეთოდით სასწავლო კომპონენტის შეფასებებით შედეგების მიღწევა შემოწდება მეექვსე სემესტრის შემდეგ. **რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა; • დანართი 1.12 - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო; • დანართი 1.7 - სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია XIII[26]	რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები სწავლების და შეფასების მეთოდების თვალსაზრისით, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით სწავლის შედეგების გაზომვის და მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით.

[26]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ინსტიტუციამ სასწავლო კურსების სილაბუსები განაახლა, რადგან სილაბუსებში შეფასების მეთოდები მეტწილად ერთნაირი იყო. მოხდა საგნის სპეციფიკის გათვალისწინება და მეთოდების გამრავალფეროვნება. განახლებულ სილაბუსებში ასახულია მრავალფეროვანი შეფასების მეთოდები, როგორიცაა: წერითი დავალებები და წერითი გამოკითხვები, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული სამუშაოები, ტესტები და ქვიზები, ღია ტიპის კითხვები, პრეზენტაციები, რეფერატები, კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული დავალებების შესრულება, შემთხვევის ანალიზი და სხვა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ინიციატივით დაიწყო თანამშრომლობა ერაზმუს პლუსის პროექტთან „PROFFORMANCE+“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული უნარების განვითარება შეფასების სისტემის საკითხზე, ასევე მათი კვალიფიკაციის განვითარება მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა დიგიტალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, ინკლუზია და მდგრადობა. ამასთან, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეცა შესაძლებლობა ჩართულიყო ვებინარების სერიაში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და მრავალფეროვანი მეთოდების გაცნობა და დანერგვა. სილაბუსების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შესაფსების მეთოდები განსხვავებულია და შესაბამისობაშია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან. სილაბუსებში დეტალურად არის გაწერილი ქულების შინაარსობრივი მხარე, რაც გამჭვირვალეს ხდის შეფასების სისტემას. სილაბუსების გადამუშავება შეეხო სწავლა-სწავლების მეთოდებსაც. განისაზღვრა შემდეგი მეთოდები და აქტივობები: ვერბალური მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; პრეზენტაცია; პრაქტიკული მუშაობა; ჯგუფში მუშაობა; პროექტზე დაფუძნებული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; სწავლება კეთებით; შემთხვევის სწავლება; დისკუსია/ სწავლება და სხვა. ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება

	უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტის სასწავლო პორცესში ჩართულობა - უფრო აქტიური, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია XIV[27]	რეკომენდებულია, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების შემცირების და სპეციალობის სავალდებულო კურსების კრედიტების გაზრდის თვალსაზრისით.
შეფასება	რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში შევიდა არსებითი ცვლილებები როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად. საწყის ეტაპზე გაუქმდა არჩევითი მოდულების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სისტემა, ხოლო ამ მოდულებში არსებული ყველა სასწავლო კურსი (მაგ., „ორგანიზაციული ქცევა“, „ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მართვა“, „ოპერაციების მენეჯმენტი“, „პროექტების მართვა“, „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი“, „საბანკო საქმე“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საჯარო ფინანსები და გადასახადები“, „კორპორაციების ფინანსები“, „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „მარკეტინგული კვლევები“, „ციფრული მარკეტინგი“) ინტეგრირდა სპეციალობის სავალდებულო კომპონენტში. ამასთანავე, არჩევითი კურსი „ლიდერობა“ გადატანილ იქნა სავალდებულო ბლოკში. აღნიშნულმა ცვლილებებმა განაპირობა პროგრამის საკრედიტო სტრუქტურის ოპტიმიზაცია: სავალდებულო სპეციალობის კურსების მოცულობა გაიზარდა 95-დან 125 კრედიტამდე, რაც ასახავს დარგობრივი კომპონენტის გაძლიერებას. პარალელურად, სტრუქტურული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით, თავისუფალი კრედიტების

[27]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	რაოდენობა შემცირდა 40-დან 10 კრედიტამდე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის დარგობრივ სპეციალიზაციაზე ორიენტაციის გაძლიერებას და სასწავლო პროცესის უფრო თანმიმდევრულ ორგანიზებას. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია XV[28]	რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შინაარსს დაემატოს შემდეგი საკითხები / თემები / კურსები: სამეწარმეო საქმიანობა და ინოვაციების მენეჯმენტი; ოპერაციების და ხარისხის მენეჯმენტი; ლოგისტიკა, მიწოდების ჯაჭვის მართვა, პროექტების მართვა; ცვლილებების მენეჯმენტი; ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა.
შეფასება	ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სპეციალობის არჩევით კურსებს დაემატა სასწავლო კურსები ,,მეწარმეობა“ და ,,ინოვაციური მენეჯმენტი“; ,,ოპერაციების მენეჯმენტი“, ,,ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვის მართვა“, ,,ორგანიზაციული ქცევა“, ,,ლიდერობა“ და ,,პროექტების მართვა“ დაემატა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს. ,,ოპერაციების მენეჯმენტის“ სასწავლო თემატიკა მოიცავს ხარისხის მენეჯმენტის საკითხებსაც (მე-7 თემა), ხოლო ,,ორგანიზაციული ქცევის“ და ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ცვლილებების მენეჯმენტის (მე-15 თავი) საკითხებს. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5. სასწავლო კურსი/საგანი

[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია XVI[29]	რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული სავალდებულო კურსის როლი და ინტენსივობა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და გასაზომად.
შეფასება	პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში ასახულია სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით სწავლის შედეგების მიღწევა გაცნობა, გაღარმავება, განმტკიცების დონეებზე. **თუმცა, აღსანიშნავია, რომ არ არის დაცული შედეგების მიღწევის თანმიმდევრულობა ამ მოთხოვნის მიხედვით.** კერძოდ, შედეგეის მეორე და მესამე დონის მიღწევის შემდეგ პროგრამა იმავე შედეგზე გადის გაცნობის დონეზე; ასევე, ზოგიერთი შედეგის მიღწევა პირდაპირ მეორე და მესამე დონიდან იწყება. საჭიროა აღნიშნული რუკის გადამუშავება. **რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა.**
მტკიცებულებ(ები)ა	• თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1.1 - პროგრამის აღწერილობა.

თანდართული დოკუმენტაცია[30]

ექსპერტის ხელმოწერა

[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[30]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა